საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1399
24/02/2026

1399-01-2-202602241615

შპს „ჯორჯიასიბის“ (ს/ნ: 406444959)

მის.: ქ. თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა №11გ, სად. №1, მე5 სართული, საოფისე ფართი №18

ტელ: +995 599 00 76 85

ელ-ფოსტა: info@georgiacb.com

info@trackings.ge

გაცნობებთ, რომ სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 9 თებერვლის №04/186 ბრძანებით, სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), ნ[redacted] მ[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) (შემდგომში – მომხმარებელი) 2026 წლის 13 იანვრის №01/197 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის, შპს „ჯორჯიასიბის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 406444959) (შემდგომში – მოვაჭრე), მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

2026 წლის 16 თებერვალს სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ბ[redacted] ს[redacted]ის (პირადი ნომერი [redacted]) №01/1514 განცხადება, შპს „ჯორჯიასიბის“ მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2026 წლის 9 თებერვლის №04/186 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო ბ[redacted] ს[redacted]ის 2026 წლის 16 თებერვლის №01/1514 განცხადება.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა